ეროვნული ბიბლიოთეკა

# მწყემსი

მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. იოან. 10—11.

ჰპოვე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. ძსრეთ იყოს სიხარულ ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთამძიმენი და მე განგისვენოთ თქვენ. მათ. 11—28.

№ 19 1883—1902 30 ოქტომბერი

## სასწავლო წლის დასაწყისის დროს.

განსაკუთრებულ პირობებში დაიწყო წრევანდელი სასწავლო წელიწადი საშუალო საერო სკოლაში. არასოდეს არ ცდილან ამ სკოლის გაუმჯობესებას ისე, როგორც ეხლა. იმის გაუმჯობესებაზედ ფიქრობს მართებლობა, მაზედ ლაპარაკობს ყველა, ამის შესახებ ისე ბევრი რამ არის დაბეჭდილი, რომ წაკითხვაც კი შეუძლებელია. გამოითქვა სხვადა-სხვა შეხედულება ამ საგანზედ, ასე რომ მათი შეთანხმებაც შეუძლებელია. შეიძლება თუ არა საშუალო განათლების გაუმჯობესება, თუ შეგირდებმ ც არ მიიღეს ამ საქმეში ეხურვალე მონაწილეობა? ამ კითხვაზედ მხოლოდ ერთი პასუხი გვეთქმის:—არა.

მოვიგონოთ მაცხოვრის იგავი მთესველზედ. მთესველი—თვით უფალია; თესლი კი—მისი წმიდა სიტყვა, მაგრამ ნიადაგი (ადამიანთა სული), რომელზედაც ის სთესავდა, უნდა ყოფილიყო შემდეგში ნაყოფის ღირსების დამამტკიცებელი: ერთმა და იგივე თესლმა, ერთსა და იმავე მთესველის ხელში, ერთს ნიადაგზედ სრულებით არ გაიხარა, ერთზედ ცოტათი ამოვიდა და გახმა, მესამეზედ—ეკლით დაიფარა, მეოთხეზედ—დიდ-ძალი ნაყოფი მოიტანა. ამნაირად ჭეშმარიტი და ნამდვილი საქმე განათლების წინმსვლელობისა ამ მხრივ—მოსწავლეთა ხელშია და მათზედ არის დამოკიდებული.

რომ უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ საქმის ვითარება, ღრმად ჩავუფიქრდეთ ჩვენი განათლების საქმეს და პირველ ყოვლისა გამოვარკვიოთ, თუ რაში მდგომარეობს ჭეშმარიტი განათლება? განათ-

ლება არის ჰარმონიული განვითარება ადამიანის სულიერის ძალებისა, რომელსაც მიზნად აქვს, ადამიანი გახადოს შეგნებული, კეთილი და პატიოსანი მომქმედი იმ სარბიელზედ, რომელზედაც მას განათლების დამთავრების შემდეგ დააყენებს ღვთის განგება.

რომ განათლება მარტო გონების განვითარებაში მდგომარეობდეს, მაშინაც-კი, საუკეთესო მასწავლებლების ხელში ვერ ისწავლის კაცი, თუ თითონაც არ იბეჯითა მით უმეტეს არ შეიძლება განუვითაროთ ადამიანს სულიერი მხარეები, თუ თითონ მან არ იხმარა ყოველივე ღონე თავის განვითარებისათვის. აი ამაში მდგომარეობს ჭეშმარიტი განათლება.

ასე ამნაირად განათლებასთან მტკიცედ უნდა იყოს შეკავშირებული თვით აღზრდა. მხოლოდ თითონ ადამიანს, როგორც თავისუფალ არსებას სულიერ ცხოვრებაში, რომელზედაც დაკვირვება ძნელია, შეუძლია შეასრულოს ძნელი სამუშეკარი თვით-გაუმჯობესებისა. ამიტომ სკოლა პატარაობიდანვე უნდა ასწავლიდეს თავის მოსწავლეთ, რომ ყოველი ნაბიჯი დაუქვემდებარონ თვით-აღზრდას, რომელიც შეადგენს მთავარ მიზანს ადამიანის ცხოვრებაში, სიყრმიდან მოკიდებული სიბერემდე და იმ საშინელ განსჯამდე, რომელიც ჩვენ უნდა ღვთის წინაშე განვიცადოთ.

ამ დიდებული მიზნის განსახორციელებლად პირველ ყოვლისა საჭიროა მოსწავლეთა შეგონება, რომ ქრისტიანული შეხედულებანი ჩვენს სულიერ მოთხოვნილებაზედ, ზნეობრივ კანონებზედ და მოვალეობაზედ გვიჩვენებენ ჩვენ ზნეობრივად გასაუმჯობესებელ გზას. ჩვენ, როგორც ღვთიური გამოცხადების მატარებელთ, არ შეგვიძლია ეს მოვალეობა უდანაშაულოდ ავიცილოთ: მუდმივი გონებრივი დაბნეულობა, და უბედურებანი ეწვევიან და უკვე ეწვიენ საქრისტიანო ქვეყანას, როგორც კერპთ თაყვანის მცემლებს მოევლინათ, თუ ჩვენ დაუტევებთ მაცხოვარსა ჩვენსა—ქრისტეს. დაუკვირდით ცხოვრებას: თქვენი თვალით შეგიძლიათ ნახოთ აშკარა დამამტკიცებელი საბუთები იმისა, თუ როგორ იღუპება ახალგაზდობა, რომელიც სრულიად მისცემია ხელში ზნეობრივად გამხრწნელ მოძღვრებას და ცრუ მოძღვრებს.

ეცადეთ, რაც შეიძლება, მოზარდნო ყრმანო, შეიმუშაოთ ხასიათის სიმტკიცე, რომელიც არის სულიერად ჩვენი მამოძრავებელი. ხასიათის სისუსტე დიდი ნაკლია. გამოცდილება გვეუბნება, რომ შრომა, მოქმედება, ბრძოლა სხვა-და-სხვა დაბრკოლებათა წინააღმდეგ—ეს არის ჭეშმარიტი ცხოვრება ადამიანისა. სიძნელესთან ბრძოლაში ჩვენი სული იზრდება, წინააღმდეგობათა გადაქელვით კი—ხაროხს. ამიტომ ყოველივე საქმე დიდებული თუ მცირე, გონებრივი, ზნეობრივი,—პატიოსანი კი იყოს,—მოთბინებით, დაკვირვებით და სიმაგრით სძლიეთ და ბოლომდის მიიყვანეთ ხოლმე. ნუ იტყვით: რომ ამის გადადება შეიძლება, ამის დატოვება, ეს არ არის მნიშვნელოვანი, ამას როგორც იქნება გააკეთებს კაცი. ეს სიზარმაცის და დაუდევრობის შთაგონებაა, ესენი მატლებია, რომლებიც თქვენ სულიერ სიმაგრეს ხრავენ. დაუკვირდით სიყრმის გამოცდილებას: როდის უფრო ბედნიერი ხართ, როდესაც შრომას გვერდს აუვლით, თუ როდესაც ისვენებთ პატიოსანი და მედგარი შრომის შემდეგ? რასაკვირველია, ამ უკანასკნელ შემთხვევაში.

ჩვენი შეცდომაც იმაშია, რომ ჩვენ ძლიერ დავენდეთ მეცნიერებას და საერთოდ სწავლას, და მხოლოდ გონების განათლებაზე ვზრუნავთ, მაგრამ ის კი გვავიწყდება, რომ გონების განათლება მხოლოდ ნაწილია ადამიანის წარმატებისა. ბევრ ცუდ თვისებებს იძენს ადამიანი გონების გავლენის გარეშე, რომლებიც ასე თუ ისე ხელს უშლიან ადამიანის წესიერ განვითარებას. ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, რომ მეცნიერება და განათლება ვერ იფარავს ადამიანს ცუდი საქციელისაგან, ისიც ვიცით, რომ პატიოსანი ადამიანისაგან უფრო მეტს იძენენ ხოლმე, ვიდრე ნასწავლისაგან; ამიტომ ხალხის ნდობა და სიყვარული პირველისკენ არის მიმართული, მეორეზედ კი თუ ის ზნეობრივად დაცემულია და არც არაფერი გაუმჯობესება ეტყობა, ამბობენ: „ნასწავლი კაცია, მაგრამ მაგისგან არაფერი ხეირი არ გამოვა“-ო და ასე ამნაირად უფრთხიან ასეთ ნასწავლებს, სრული დარწმუნებულნი, რომ ისინი—მისთვის უცხონი არიან.

ბევრნი გოდებენ ჩვენში, რომ მეცნიერება ვერ იკიდებს ფეხს ჩვენ სამშობლოში და განათ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებაც არ ვრცელდებაო. ნუ აჩქარდებით და ხალხს ნუ გაამტყუნებთ ამაში, ერთი დაუკვირდით, განა იმისთვის არ უფრთხის ხალხი მეცნიერებას, რომ არ ენდობა მას, არ ენდობა კი იმიტომ, რომ შემდეგში ვერაფერ ზნეობრივ ნაყოფს ჰპოვებს: სვინიდისის გასუფთავებას, სულის განათლებას და სხვა-და-სხვა ცხოვრების მხარეების გაუმჯობესებას. რა უნდა ჰქონდეს მას საერთო იმ განათლებასთან, რომელიც ივიწყებს ღმერთს და სარწმუნოებას, რომელიც ავიწყებს შვილებს დედ-მამის პატივისცემას, არღვევს ოჯახის ბედნიერებას და ცხოვრების სიწმიდეს?

ხალხის გონება, რომლითაც ძველი თაობა ცხოვრებდა ათასი წლის წინად ევროპის მეცნიერებამდე,—ხალხის უმეტესობა ეხლაც მითი ცხოვრობს—განკერძოებულია და ღირსია ფსიხოლოგიურად გამოკვლევისა. იმას შეუძლია ყოველივე ღრმა აზრების შეთვისება, მალე მიხვედრა და მტკიცედ გადაჭრა, მაგრამ იმას არ უყვარს განყენებული მსჯელობა, რომლითაც იმორჩილებენ ხოლმე ცხოვრების სხვა-და-სხვა თავისუფალ მოვლენებს. უზრუნველ ყოფილი დიდ კითხვათა შეუცდომლად გადაჭრაში ფილოსოფიის დაუხმარებლად, მართლმადიდებელი ეკკლესიის მუდამ ჭეშმარიტი და შეუცდომელი მოძღვრებით, მათი გონება ადვილად და თავისუფლად არკვევს მოვლენათა მიზეზებს და მათ შედეგებს და მუდამ თხოულობს განყენებულ მსჯელობის საქმეზედ გამოყენებას და თეორიის გამოცდილებით მიღებას. „დამანახვე შენ ესა თუ ის აზრი, ამბობს იგი, როგორც სუფთა წყალი“. ყველა ამის დამტკიცება ადვილად შეიძლება. ხალხს ყოველთვის სწამდა, რომ სწავლა სინათლეა და უსწავლელობა კი—სიბნელე, მაგრამ იმან შეიძულა თანამედროვე მეცნიერება, იმ უწესოებისათვის, რომელსაც მოსწავლე ახალგაზდობა ჩადის. ის ეჭვიანობს განათლებულ ხალხთა კეთილ-მორწმუნეობაში, როდესაც ვერ ხედავს მათში ეკკლესიის სიტყვის ასრულების მიდრეკილებას: იმას არ სწამს დღევანდელი განათლება, რომელიც ასაზრდოებს ფუფუნებას, მუქთა ხორობას და ფუქსავატობას.

## «მწყემსის» კორრესპონდენციები.

ს. რცხილათი (შორაპნის მაზრა). ვაი ამისთანა სიცოცხლეს! კაცს ჯერ სიღარიბე აწუხებს და მერე ქონება, თუ რაიმე იშოვა თავისი ოფლით. როდის უნდა მოელოს ბოლო კაცის იმ ბოროტ-მოქმედებას, როდესაც იგი, მოკლებული ყოველივე კაცურ გრძნობას, ღამით მიუვარდება მას, ვისაც ორიოდე გროში ეგულება და ააწიოკებს მთელ მის ოჯახს და სასიკვდილოთაც არ ზოგავს? 24 სექტემბერს, ღამის თორმეტ საათზედ, მიუცვივდნენ სახლში მღვდელს მ. ბესარიონ გოგსაძეს სამი შეიარაღებული ოსი. შევიდნენ თუ არა სახლის აივანზედ, მაშინვე ჩაამტვრიეს ფანჯარა, შეცვივდნენ სახლში და დაიწყეს აქეთ იქით ფოთარი. მ. ბესარიონი იმ ღამეს სხვა სოფელში იყო საქმეებისა გამო; სახლში იყვნენ მხოლოდ მ. ბესარიონის ოჯახობა: ცოლი, ორი გასათხოვარი მისი ასულები და ერთი პატარა ბიჭი—მოსამსახურე. მ. ბესარიონის მეუღლემ რომ რახუნი გაიგონა, ეგონა ბესარიონი მობრძანდაო და დაუძახა სახელი მეორე ოთახიდამ; გაიგონეს თუ არა ავაზაკებმა ხმა, მაშინვე მიმართეს იმ ოთახს, საიდამაც ხმა მოესმათ და უნდოდათ, რომ ჩაემტვრიათ კარები, მაგრამ მოვიდა თუ არა გონზედ მ. ბ. მეუღლე, მიხვდა თუ რაშიც იყო საქმე და მაშინვე თავისი ორი ქალით გავარდა გარედ მეორე კარებიდან ახლო მეზობლისას და მორთო გულ-შემზარავი კივილი. კივილზედ ორი ავაზაკი გარედ გამოვარდა და ასტეხეს თოფის სროლა, რომ ვერავინ მისულიყო მ. ბ. ოჯახის საშველად; ერთი ავაზაკი კი ოთახებში დათარეშობდა და ეძებდა, თუ კი რაიმეს იშოვიდა. ამ დროს მ. ბესარიონის ეზო მოაგონებდა კაცს ბრძოლის ველს, სადაც თავ-განწირულნი იბრძვიან სამშობლოს დასაცველად; განუწყვეტელი თოფის სროლა და ტყვიის ზუზუნი თავზარს დასცემდა ყოველ გულ-შემატკივარ ადამიანს. მ. ბესარიონის მეუღლის ალმაშფოთებელ კივილზედ მთელი ჩვენი პატარა სოფელი ფეხზედ დადგა: დიდი და პატარა, ქალი და კაცი, და გაეშურნენ თავიანთ ლმობიერ, სულიერ მამის სახლისაკენ. სოფლის მოძრაობამ შეაშინა ავაზაკები და გადაცვივდნენ. მამასახლისის თანაშემწე ნ. ჩაფიძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშინვე შეჰყარა ხალხი და გამოუდგა ავაზაკებს. მიჰყვნენ კვალს, რადგანაც ტალახი იყო, დაეწივნენ მახლობელ სოფელში განთიადისას, სამნივე შეიპყრეს და წარუდგინეს ადგილობით ბოქაულს დაპატიმრებული. გამოძიება სწარმოებს ავაზაკებმა ვერაფრის წაღება ვერ მოასწრეს, ჩოლოდ ზოგიერთი ნივთი დაემტვრიათ. მადლობას უძღვნით ადგილობით მამასახლისის თანაშემწეს ნ. ჩ—ძეს და ღმერთსა ვსთხოვთ, სხვებსაც ამგვარი სიყოჩაღე გამოეჩინოთ მჭვავსს შემთხვევებში.

სპ. გოგსაძე.

---

დ. საჩხერე. 21 სექტემბერს საჩხერეს მოვიდა შორაპნის მაზრის სახალხო სკოლების ინსპექტორი ბ-ნი ნოვოსპასსკი საქალაქო სკოლის შესახებ აქაურს საზოგადოებასთან მოსალაპარაკებლად. ამ სკოლის დაარსების ნება-რთვა სთხოვეს ზაფხულში ბ-ნ მზრუნველს. 22 ოქტომბერს ჩიხის საზოგადოების სამმართველოში შეიკრიბა საჩხერის საზოგადოება, უმთავრესად ვაჭრები: ქართველები, სომხები და ებრაელები. ბ-ნმა ინსპექტორმა შეკრებილს საზოგადოებას თარჯიმნის პირით გარდასცა შემდეგი: 1) საქალაქო სასწავლებელი ოთხ-კლასიანი და ექვს-კლასიანია. ორივეში ერთი და იგივე პროგრამაა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ოთხ-კლასიანს სასწავლებელს წელიწადში სჭირდება 4,670 მან., ექვს-კლასიანს 6,000 მან. მეტი. 2) ჯერ-ჯეროობით საზოგადოებისათვის უფრო ადვილია ოთხ-კლასიანის სასწავლებლის დაარსება და მერე, როცა საქმე რიგიანად მოეწყობა, შეიძლება ეთხოვოს ბ-ნ მზრუნველს მისი ექვს-კლასიანად გადაკეთება. 3) ხაზინა წელიწადში 1,500 მანეთს მოგცემთ და 4) ადგილი და შენობა თქვენ უნდა შეიძინოთ, დროებით შენობა უნდა იქირაოთ და შემდეგ საკუთარ შენობისთვის იზრუნოთ. შენობა დაჯდება 8,000 მან.

საზოგადოებამ მოისმინა ბ-ნი ინსპექტორის წინადადება და სთხოვა დარჩენა 23-თვის, რომ ყველას მოეყარა თავი საქმის რიგიანად მოსაწყობად. ინსპექტორი დარჩა. ებრაელებმა ხარჯში მონაწილეობაზე, სიღარიბისა გამო, უარი განაცხადეს. 23 სექტემბერს, დილის 11 საათზე, დაბის წარმომადგენელნი ნოტარიუსის დიმიტრი აბაშიძის წინამძღოლობით გამოცხადდენ ინსპექტორთან. განუცხადეს თანხმობა სასწავლებლის დაარსებაზე და ერთად შეიმუშავეს განაჩენის დასადგენად შემდეგი მუხლები: 1) ეთხოვოს მთავრობას გახსნას საჩხერეში ოთხ-კლასიანი საქალაქო სასწავლებელი და მიეცეს მას ხაზინიდან შემწეობა ყოველ წლიურად 2,000 მან. 2) იმათ შვილებს, ვინც ხარჯში მონაწილეობას მიიღებს, სასწავლო ქირა 14 მანეთი გადახდებათ წელიწადში, ხოლო სხვებს — 20 მანეთი. 3) თუ ამ გადასახადიდან იმაზე ნაკლები ფული შემოვიდა, რაც სასწავლებელს უნდა, მაშინ დანაკლისს ფულს საზოგადოება შეავსებს და 4) შენობის ასაგებად გაიმართოს ხელის-მოწერა. ამ დღესვე აღმოჩნდა ადგილის შემწირველი თავ. გ. დ. წერეთელი, რომელიც სწირავს ორ ქცევას და ხის მასალას.

(„ცნ. ფურ.“)

---

## ძვირფასი შეწირულება.

პატივცემულო მკითხველო! შესაძლებელია იცოდე რა ადგილას მდებარეობს დ. ორპირი, რომელიც დღეს სოფელია, მაგრამ მე მაინც მოკლედ მოგახსენებთ, თუ რა იყო ძველად ხსენებული ადგილი და რა არის დღეს. დ. ორპირი მდებარეობს მდინარე რიონის და ცხენის წყლის შუა, იმ ადგილს, სადაც ხსენებული მდინარეები შეერთვიან ერთმანეთს. ძველი დროის მიხედვით, შესანიშნავი ყოფილა ეს დაბა. თათრებთან ომის დროს მათი უმაღლესობა დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე არა ერთხელ მობრძანებულა ამ დაბაში ჯარების დასათვალიერებლად, რომლის წყალობით — დროთა საპიროებისა გამო აღშენებულა ეკკლესია მთავარ-ანგელოზის მიხეილის სახელზე. ამა ეკკლესიის აღსაშენებლად მათ უმაღლესობას დიდ-ძალი ფული შეუწირავს. შემდეგ რამოდენიმე დროს განვლისა აღნიშნული დაბა დამცირდა, მოვაჭრენი გადავიდენ სხვა მახლობელ დაბებსა და ქალაქებში, ხოლო იქ დაშთნენ 30 მოსახლენი. სიმცირის გამო მრევლისა, მათ მეუფემ გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა გრიგოლიმ, კეთილ ინება და ამ ეკკლესიას შეუერთა იმისთანა ეკკლესია, რომელთათვის მიუცილებელი საჭიროება იყო ახალი ეკკლესიის აღშენება, თუმცა

შრომა ყოვლად სამღვდელო გრიგოლის ამა ეკკლესიაზედ მთლად მისი მყოფობის დროს არ დასრულებულა, მაგრამ ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე ეპისკოპოსმა გურია-სამეგრელოსამ დიდად მოიწონა ასეთი მოქმედება გრიგოლისა და, როგორც რიგიანად დაწყებული, მან უკვე კვალად დაამტკიცა და ხელი შეუწყო მისს არსებობას. მათ უმაღლესობას დიდს მთავარს დიდი ყურადღება აქვს მიქცეული ამა ეკკლესიისადმი. მათმა უმაღლესობამ შემოსწირა ხსენებულ ეკკლესიას ამა წლის ივლისის თვის 9 რიცხვში ძვირფასი სამღვდელო შესამოსელი და მასთან ძვირფასი ხატი ტაძრისა—მთავარ ანგელოზის მიხაილისა. ბიღებისათანავე ამა შეწირულებათა, ადგილობითი მღვდელმა მამა ლუკა ჩარგეიშვილმან და შტატ-გარეშემა მღვდელმა სვიმონ ჭეიშვილმან, აკურთხეს ხატი ესე და დაასვენეს უპირველეს ადგილზე. კვირას, ივლისის 14-ს, ზემორე მოხსენებულ მამებთა მიერ იქმნა მოწოდებულ სამრევლო ამა ეკკლესიისა, სადაც ერთად შეასრულეს ლიტურგია მათის უმაღლესობის სადღეგრძელოდ და შემდეგ ლიტურგიის სრულ-ყოფისა გარდახდილ იქმნა პარაკლისი. მთელმა მრევლმა ჩვეულებისამებრ შეავედრა ღმერთს და დალოცა მათი უმაღლესობა.

მას. კ. საჭილოელი.

## წერილი რედაქციისადმი

მ. რედაქტორო! გაზეთ „ცნობის ფურცლი“-ს 1879 №-ში წავიკითხე ვიღაც ქრისტეფორეს წერილი, რომლის შინაარსი კერძოდ მეც შემეხება. რადგან „ცნობის ფურცელმა“ ამ სტატიის საპასუხო წერილი არ დამიბეჭდა, უმორჩილესად გთხოვთ ნება მიბოძოთ ორიოდე სიტყვა ვსთქვა თქვენი ჟურნალის საშუალებით.

ბ. ქრისტეფორე ქართულ გალობის ამბავს იხსენიებს საზოგადოდ და მასთან ჩემს შესახებ ასე ამბობს: „იმერეთში საგალობლები გადაუღია ნოტებზე რაჟდენ ხუნდაძეს და სამღვდელოება თავის ხარჯით ჰბეჭდავს თურმე. დამეთანხმებით, რომ მუსიკის ანბანის ცოდნა არ კმარა ამისთანა საქმისთვის. თუ საფუძვლიანი მუსიკალური განათლება მიგიღია, მოჰკიდეთ ხელი, თუ არა და ან თქვენს თავს რად აწუხებთ ან ქვეყანას? (ნეტავი ვიცოდე, თუ მართლა შევაწუხებ ქვეყანას ამგვარის შრომით!) სამღვდელოება მოვალეა ეს საქმე მცოდნე კაცს მიანდოს“. ნეტავი რა იცის ბ. ქრისტეფორემ, მე ამ საქმის მცოდნე ვარ, თუ უცოდინარი?!—მართალია, ეს არ ეცოდინება, მაგრამ ისეთი დიდი გენიოსი, როგორიც ბ. ქრისტეფორე ბრძანდება, ამბის შორიდან გაგებითაც შეატყობს წინდაწინ ვისგან რა გამოვა! ალბად ეპატარავება ყურში გასაგონად ჩემი ვინაობა, ამისთვის მიწუნებს და სამღვდელოებასაც ურჩევს: „ეს საქმე მცოდნე კაცს მიანდეთო“ (თუმცა ნახეევარზე მეტი საგალობლები დაბეჭდილია, მაგრამ არა უშავს, გადაყრაც შეიძლება). როგორც მისი წერილიდან ვიცით, ბ. ქრიტეფორე მღვდელია და რომ ვინმემ უთხრას: მამაო! რადგან უმაღლესი სწავლა არ მიგიღია, ან თქვენს თავს რად აწუხებთ და ან თქვენს მრევლსო,—ნეტავი რას უპასუხებდა? ვარწმუნებ პატივცემულ მკითხველს, რომ ამ საქმისთვის იმერეთის სამღვდელოებას აწონ-დაწონვა არ დაუკლია. ყოვლად-სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსმა ლეონიდემ აგალობა მისივე მეუფების მგალობელთა გუნდს (რუსულად მგალობლებს), როცა თვით მისი მეუფება ბრძანდებოდა მწირველი და მასთან ერთად სამღვდელოების დეპუტატთა კრებამ მოისმინა ეს გალობა და მოიწონეს; სამღვდელოებამ დანიშნა კომისია, ამათაც შეამოწმეს სხვა-და-სხვა მუსიკის მცოდნეებთან და სხ... ამგვარად ბ. ქრისტეფორეს წერილი თუ უსაფუძვლო არ არის, დაგვიანებული მაინცაა. ყოველ შემთხვევაში ქრისტეფორეს აზრი „ძილის უწინ სიზმარია“ ამ ხანად. იგი ბრძანებს: „რაჟდენ ხუნდაძეს დაუწერიაო“! შესაძლებელია რაჟდენ ხუნდაძე სხვაც იყოს ვინმე, როშელსაც გალობასთან არასოდეს საქმე არ ჰქონებოდეს, მაგრამ მე კი, სახელსა და გვარს გარდა სხვა საცნობი რამეც მაქვს: მღვდელი ვარ და ქართული გალობის მცოდნე, რომელიც ცხრამეტი წელიწადია გალობას ვასწავლი ქუთაისის სასულიერო სემინარიასა და სასწავლებელში, რომელსაც ამ ხნის განმავალობაში დაკვირვებაც მექნება გალობაზე. ჩემს სახელ და გვართან ერთი ან მეორე რომ ეხსენებია ბ. ქრისტეფორეს, უფრო რიგიანი იქნებოდა და ადვილი გასაგები, თუ ვის დაუწერია ეს გალობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ამის თქმა მის მეცნიერულ დარიგებას იმერეთის სამღვდელოებისადმი მიმართულს ძალას მოაკლებდა და ამბა რად იზამდა ამას! ჩემო ქრისტეფორე! სანამ თქვენისთანა შორსგამჭვრეტელი და საქმის საფუძვლიანად დამწყები თავს მოიყრიდეთ, თითო გალობის დაწერისთვის ათსა და თუთხმეტ მანეთს უბოძებდეთ დიდ დიპლომოსან დამწერლებს (როგორც ჩვენ გვაძლევდენ გალობის დაწერის დროს 1888 წელში, როდესაც ქართული გალობა დაიწერა ნოტებზე იმერულ გავარჯიშებულ კილოზე), მანამდის პეტრეს დააგვიანდება და პავლეც აღარ დაგრჩებათ, რომ ტყავი გააძროთ. გურიაში ანტონ დუმბაძე, 78 წლისა და მისი შვილი მ. დავითი (რომელთაგანაც მე გალობა მისწავლია), მეგრელიაში დიტო ჭალაგანიძე 77 წლისა და იმერეთში კიდევ ი. წერეთელს ახსოვდა ქართული გალობა, რომელიც მღვდლად წავიდა სოფელში და გალობას სრულიად მიანება თავი. აი მცოდნე მგალობელთაგან— ესენი-ღა შეგვრჩა; მათი წლოვანება გვიჩვენებს, რომ ისინიც მალე გაეშურებიან იქ, საიდანაც დაბრუნება ცოტა არ იყოს ძნელია. მერე შეიკრიბეთ ჩემო ქრისტეფორე თქვენ და თქვენი თანამოაზრენი: მუსიკის მცოდნემ მუზიკა უკრას და დანარჩენმა იცეკვეთ! იქნება ვინმე ფიქრობდეს, გალობა მარტო წირვის წესია ჩვენში და სხვა არა! ამიტომ ყოველთვის შეიძლება გალობის დაწერა და მცოდნე მგალობლების შოვნაო. ასე არ გახლავთ. საეკკლესიო წიგნები თითქმის ნახევარი გალობა არის, რომელიც ჯერ კიდევ შენახულია ჩვენში და არ აღგვილა ჟამთა ვითარებისაგან; იკარგება ესენი და ამას დაწერა უნდა ყველას სანამ მთლად დაიკარგებოდეს. ჩვენს წინაპრებს არარაისაგან არსად შეუქმნია მშვენიერი გალობა, ჩვენამდის მოუტანიათ, ჩვენ კი, მამა-პაპათაგან შეძენილ განძს ვკარგავთ. როგორ ფიქრობთ! ყველა ეს გალობები ვისგან უნდა ვეძებოთ, როცა აქ დასახელებული სამი-ოთხი მგალობლები დავწყდებით? ასე ინებეთ ბატონო ქრისტეფორე, კიდევ მოძებნეთ ვინმე, დაიხმარეთ და დახმარების მაგიერ ზიზღით მოგვიხსენეთ, როგორც მე. ისე მ. კარბელაშვილიც... აი, როგორც ხედავთ საქმის მკეთებლის ხელის შესაშლელად რისმე თქმა ადვილია, მაგრამ საფუძვლიანი თქმა კი ვერ არის ადვილი. კრიტიკა ადვილია, მაგრამ საფუძვლიანი კრიტიკა კი ვერ არის ადვილი. სიტყვა ადვილია, საქმე ძნელი.

მღვდელი რაჟდენ ხუნდაძე.

---

## ბაზრობა რაჭაში.

ოცი წელიწადი მეტი უნდა იყოს, რაც ქვემო რაჭაში ბუგეულის პირდაპირ მდინარე რიონის ჩრდილოეთის მხრით, თავადის ყიფიანების და მათი ნაყმევების ადგილზედ, ადგილობითი მთავრობის—მაშინდელის მაზრის უფროსის, აწ განსვენებულის ბარონის შუამდგომლობით დაწესდა იარმარკა; ეს მაზრის უფროსი ძლიერ დაკვირვებული იყო თავის სამმართველოს ხალხის მდგომარეობაზედ. ის კარგა მიხვდა, რომ რაჭის ხალხი ძლიერ გაჭირვებულ მდგომარეობაში იყო, არ ჰქონდა საშუალება ფულის მოპოებისა. თუ რამ თავიანთ ხელით ნამოქმედარი ჰქონდათ, გასასყიდლად უნდა წაეღოთ ან დაბა ონს და ან ქუთაისს. რომელიც დაშორებული არიან ქვემო რაჭაზედ პირველი ოც-და-ათი ვერსით და მეორე სამოცით; მაშასადამე მათი გასასყიდი ნაშრომი თითქმის ნახევარი გზაზედ მოუნდებოდათ ხარჯად. თუ სასყიდელი რამ ჰქონდათ, ამის შეძენაც ძვირად უჯდებოდათ. ამას მიმხვდარი იყო ხალხი და ძლიერ სწუხდა თავის უსაშვალობას. ეხლა მადლობა ღმერთს ხალხს თითქმის კარის ყურში აქვს საშუალება—რაც არა აქვს იყიდოს და რაცა აქვს გაყიდოს.

ეს იარმარკა განიყოფება სამ ნაწილად, ერთი არის მომაღლო ადგილზედ, სადაც არის ფართლის, საწვრილმანოს და ფეხსაცმელების გასასყიდათ კარვები თითქმის სამოცამდე. აქ არის დროებით კანცელარია და ამაზედ ცოტა დაშორებით ნავთის და ხილეულობის სავაჭრო ადგილი. მესამე ამ ადგილს ქვეით რიონის პირად არის სამიკიტნო დუქნები ოც-და-ათამდე; აქ არის გასასყიდი: ცხენები. ხარები და წვრილმალი საქონელი, აგრეთვე ჭურჭლეულობა. ეს ადგილი პირველ ადგილზე უფრო ფართოა, აქ ხშირია ცხენის ჭენება და სხვა-და-სხვა თამაშობა.

ამ იარმარკაზედ ვაჭრობა დაიწყება ხოლმე ყოველს წელს სამი ენკენისთვიდგან და გრძელდება ერთ კვირას. შემდეგ ერთის კვირისა, ლეჩხუმში იწყება იარმარკა და გრძელდება ორს კვირას, რომელიც დაარსებულია უხსოვარის დროიდან და რაც ვაჭრებს რაჭის იარმარკაზედ გასასყიდი რამ საქო-

ნელი დაურჩებათ გაუსყიდველი, შემდეგ ლეჩხუმის იარმარკაზედ მიაქვთ და იქ ასაღებენ. ამ ოსტატურის საშუალებით ვაჭრების სიმრავლე აქ ყოველს წელს მატულობს, თორემ მარტო აქ ვაჭრობით რომ თავდებოდეს საქმე, მაშინ ამოდენი რიცხვი ვაჭრებისა არ იქნებოდა აქ, რადგან ერთის კვირის განმავლობაში ბევრს ვერას გაასაღებდნენ ვაჭრები თავის საქონელს. ლეჩხუმის იარმარკა დაშორებულია აქაურ იარმარკაზედ თითქმის ოც-და-თხუთმეტის ვერსტით

ეხლა აქაური ხალხის ამბავი იკითხე მკითხველო: ამ იარმარკის დაწესებამდე რომ ზოგიერთი რაჟველი კაცი და ქალი მიუხდომელი იყო, ეხლა ისე აღარ გახლავან; იარმარკამ ისინი ძლიერ განავითარა, ეხლა ამათ გასყიდვასა და სყიდვაში სითამამე და გამბედაობა მიიღეს, ეხლა ისე ადვილად ვერ მოატყუებენ ამათ ვაჭრები ვერც სყიდვასა და ვერც გასყიდვაში, როგორც ატყუილებდენ მათ იარმარკის პირველ დაწყების დროს. ამ ერთი კვირის განმავლობაში და მეტადრე უქმე დღეებში, ხედავთ გზაზედ ხალხს ზოგს იარმარკაზედ მიმავალს, რომლებსაც მიჰყავთ ან მიაქვთ რაიმე გასასყიდი, ზოგს შინ მიმავალს ნასყიდი რაიმე საქონლით, მაგრამ გვყავს ისეთი ხალხიც, რომელსაც შეძენის დარდი არა აქვს, ისინი ძალზე სვამენ და ამის გამო ხარჯვენ თუ რამ გაჩნიათ ჯიბეში. ადგილობრივი ბოქაულს ძლიერ ფიცხელი ყურადღება აქვს თურმე მიქცეული ამ შეკრებილებაში კეთილ წესიერების დაცვაზედ. ამ იარმარკაზედ ნახავთ ყოველი წოდების კაცს, რომლებიც დროების გასატარებლად მოდიან ხოლმე, რომლებიც ხშირად ერთმანეთის დიდებნის უნახავნი არიან და აქ ერთად შეხვედრით სიამოვნებენ.

მ. ა. შ—ძე.

## ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსის ლეონიდისაგან დღესასწაულობითი წირვა შიომღვიმის მონასტერში 21 წარსულ თებერვალს. უველიერის ხუთშაბათს.

(გაგრძელება *)

აწ სვიმეონ (ს-ნ) ბედიელ-ალავერდელისა იყოს შეგვდრებულ. რაც საქმე და საურავი მათი იყოს, იგი იყოფოდის, რომელსა ჩვენ ვერ მივიწინეთ; და შემდგომად მისსა თუ მისსა ადგილსა ამითვე წესითა სხუა მწეთ-უხუცესი იყოს, იგი იურვოდის.—და თვთ ძუსლთა და აწინდელთა ქართლისა კათალიკოზთა კელნი ვითარად ქონან, არცა ქართლისა კათალიკოზის საქმე არს მღვმესა ზედა, არცა ვის სხვსა ეპისკოპოზისა არცა ზვერი, არცა მეფეთა, არცა მუხრანისა მგეთა; არცა მღვმისა შედგომად ვის აქუს კელმწიფებაჲ, არცა მათთა აგარაკთა და საქონებელთაჲ თანა ვის საქმე უც. და ესე ჩემგან აღშენებული ეკლესია ნიჭად ჩუსნობისად (ჩ-ნობისად) კმა ეყოს ყოველთა.—ოდეს მუხრანს ვიყვნეთ წმიდისა შიოჲს ხატსა შეგუამთხჳნენ; სამი სეფისკუსრი, ერთი ფილას საზედაშე და ფარჩითა კაპარი გვეველოგიონ. მთავარმან მემღვმემან (მოასვენოს) ჯუარი მისი, მას გვაამბორონ, ჩუენ პატივსცეთ, ვითარცა სულიერსა მამასა ჰშუენის, საჯდომელითა და სერითა.—თჳნიერ ერთი მიიცვალოს, ვითა თჳთ წესი არს მის წმიდისა შიოჲს საფლავსა ზედა იწლგდებაჲ, ამით სხვუაჲ განაჩინონ და ჩუსნსა დარბაზსა მოიყვანონ, და ჩუენ არგანი მოვაკსენოთ და შეეჰვედროთ მონასტერი.—და თქუსნ, შემდგომად მეფენო! ჩემსა ეკლესიასა და მონასტერსა ანდერძითა ამით შეჰგვედრებ წინაშე ღვთისა შეკრებასა ჩუსნსა, რომელ არ-სირცხჳლისა თანამდებ იხილენეთ ღვთისა და ანგელოზთა მისთაგან.—მოიკსენეთ ვერდი ჩემი და ნუ ოდეს დამივიწყებთ დავითს; ჰნახევდით გულს-მოდგინებით ქმნილსა ჩემსა ეკლესიასა და ნუ ოდეს ვის გაარყვნევთ კულა მას დიდებულსა ლავრასა.—და აწ შემდგომად ამისსა

*) იხ. „მწყემსი“ № 17 1902 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანუ მეფემან, ანუ მთავარმან, ანუ ეპისკოპოსმან, გინა მონაზონმან, გინა კელისუფალმან-ვინ, თუნდა გლეხმან და თუნდა აზნაურმან ანუ ანდერძი ესე ჩემი შეცვალებად იურვოს, ანუ ვინ საურავი მოუღოს ანუ ქრთამისათვს, ანუ თუ თჳთ იქმოდეს, ანუ მძლავრებით და ანუ თუ ღვთის-მსახურებასა რასმე აჩუჳნებდეს, ანუ მღვმესა შიგან სადგომად იურვოდეს, ანუ თავისათვს რაღმე მოსაკმარაბლად, ანუ გარეშე მონასტრისა მწყემ-უხუცესისა სასაუროობასა ვინმე იკადრებდეს, რაჲ გუარი, გინდა ვინ იყოს,—პირველად შენ, დაუსაბამოო და დაუსრულებელო ღმერთო, მიაწიე რისხვაჲ შენი დაუსრულებელად მას ზედა; ნუმცა უხილავს ნათელი ღვთაებისა შენისაჲ; ნუმცა მიეცემის წყალობაჲ შენი, ნუცა ცუარისაგან ზეცისა, ნუცა ნაყოფისაგან ქუეყნისა. იყავნ სამკვდრებელი მისი ოჴერ და ნაშობნი მისნი მოსასრველ. მოლოდებასა შინა წყალობისასა რისხვაჲ შენი ეწიენ; გონებისა, ცნებისა და ხედვისაგან ოჴერ ყავ იგი, ღმერთო. ხოლო შენ, ყოვლად წმიდაო ღთისმშობელო, განყოფასა მისსა კორცთაგან, განყავ იგი ნაწილისაგან ცხოვნებულთაჲსა და შური იძიე ვითარცა მგმობარსა შენსა ნესტორს ზედა. ხოლო შენ, წმინდაო ღმერთ-შემოსილო მამაო შიო, ოდეს დასჯდეს ქრისტე ღმერთი განსჯად ყოველთა ტომთა და საქმეთა, წარმოუდეგ და განჰსაჯე და ვითარცა შემაწუხებელსა შენსა ზედა ეგრეთ შური იძიე პირითა ღვთისაჲთა.—უკეთუ ჟამი მომცეს ღმერთმან და სხუაჲ უახლესი ანდერძი დავწერო, იგი თქუჳნ თქუჳნ-მიერითა კანონითა უჯუარობით, წყევითა და შეჩუჳნებითა დაამტკიცეთ, წმიდაო მეუფეო ქართლისა კათალიკოზო და ყოველნო მღვდელთ-მოძღუარნო; და თუ სიტყვსა დაწერად ჟამი აღარ მომხუდეს, თჳთ ესე დაამტკიცეთ, და რაჲთაცა რას ვინ მღვმესა დააკლებდეს, კანონითამცა თქუჳნ-მიერითა კრულ არს გაუკსნელად“.

შემდეგ ზედვე მსხვილი და ლამაზი მხედრული წარწერა თვთ დავით აღმაშენებელისა (რომლის პოლეოგრაფიული პირი იხ. ქვემო): „სიმტკიცეო ყოველთაო, ღმერთო მტკიცე მტკიცედ აქციე“.

(გაგრძელება იქნება)

## † იოსებ გიორგის ძე სააკოვი *).

(ნეკროლოგი)

ამ ენკენისთვის 3-ს შუადღისას გორში გარდაიცვალა ამავე ქალაქის მოურავი ექიმი იოსებ გიორგის ძე სააკოვი. განსვენებული ოთხმოცი წლისა იყო თითქმის, მაგრამ მისს სიკვდილს მაინც ჯერ კიდევ არავინ მოელოდა ასე უცბად. ბევრს ოც-დაათის წლის ვაჟ-კაცს გაუჭირდება იმოდენი შრომა, მხნეობა, გამრჯელობა, რასაც ადვილად იტანდა უკანასკნელ დღემდე მოხუცი „იოსებ ეგორიჩი“.

ორმოც და მეათე წლებში გაათავა მან უმაღლესი სწავლა და ექიმის წოდებით გამოვიდა ცხოვრებაში. სამსახურის გამო შემოვლილი ჰქონდა თითქმის ყოველი მხარე სამშობლო ქვეყნისა. სათნოიანი ხასიათი და ღვთისნიერი გული ყველგან ღარიბ, გაჭირვებულ ხალხისკენ ეწეოდა და ესეც სიამოვნებით მისდევდა ამ კაცთ-მოყვარულ მოწოდებას.

ბოლოს ჟამს განსვენებული დაბინავდა თავის სამშობლო ქალაქ გორში და იწყო აქაც იმავე ქრისტიანულ გზაზე მსვლელობა. არა მგონია, რომ იყვეს გორსა და მის ახლო-მახლო სოფლებში ისეთი ღარიბ-ღატაკის ქოხ-მახი, რომელშიაც კი რამდენჯერმე არ ყოფილიყოს მოხუცი ექიმი. ცხადია, რომ ამ ქოხმახიდგან სააკოვი ვერას გამოიტანდა; პირიქით თვით ექიმს შეჰქონდა მათში, გარდა მამაშვილურის ქცევისა და სიტყვა-პასუხისა, ცოდნისა და წამლისა, ხშირად ფულიც. ერთის ხელით თუ შეძლებელთ ართმევდა, მეორეთი ქვრივ-ობოლთა და ღარიბ-ღატაკთ ურიგებდა. ძნელი სათქმელია—რა უფრო შველოდა ავადმყოფს: მოხუცი ექიმის წამალი, თუ მისი მამაშვილური ალერსი?..

*) ჭეშმარიტად იმ დროს, როცა ამდენი სამდურავი გვესმის ექიმებზედ, იმ დროს, როცა ზოგიერთი ექიმების სიხარბე და სხვა-და-სხვა სამარცხვინო ზომების ხმარება ფულების მოხვეჭისათვის გულს გვიწყლავს, სწორედ საჭიროდ და სასარგებლოდ მიგვაჩნია გადმობეჭდვა განსვენებული ექიმის—სააკოვის ნეკროლოგისა. იქნება ღმერთმან ჰქნას და მიმბაძველნი აღმოუჩნდნენ. ბევრი რამ ცუდი საქციელი სრულდება მიბაძვით და იმედია მის საქებურ საქციელსაც აღმოუჩნდებიან რამდენიმე მიმბაძველნი. რედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აგერ საკოვი უახლოვდება მიწურ ქოხმახს, სადაც ოტ-ნჯება ავადმყოფი; თოვლივით თეთრთმიანი თავი ძრის დაულუნავს, სათნოიანი სახე ღრმა-მწუხარებით აქვს მოცული: წინადვე ჰგრძნობს მისი პატიოსანი გული, რა ამბავიც ტრიალებს იმ ნოტიო, უჰაერო ქოხში. მაგრამ, აი, შეაღო კარები ამ ქოხისა... სამწუხარო გამოხატულება სახისა უცებ სადღაც გაჰქრა; პირ-ღიმილით, მხიარულათ შედის სახლში და კარებიდანვე ისმის მისი გამამხნევებელი ხმა.

—აქა მშვიდობა... გამარჯვებათ, გამარჯვებათ თქვენ!. კაცო, ბიჭო, რას წამოწოლილხარ მა ლოგინში?.. შენთან რა ხელი აქვს ავადმყოფობას? შემდეგ მიდის ავადმყოფთან, შინჯამს ნელ-ნელა და თანაც ეხუმრება, ცდილობს გააცინოს, მხიარულ გუნებაზე დააყენოს.

—მაშ, შენი ჭირიმე, დოხტურო, მა ჩემ ბიჭს ეშველება რამე? იმედია, რო მორჩეს? ისმის შეწუხებული ადამიანის ხმა.

—ერიჰაა!.. რაებს ლაპარაკობ, ადამიანო? რა სჭირს ამას მოურჩენლობისა! როგორც გატყობთ შეშინებულხართ და ავადმყოფსაც აშინებთ. ეს ძალიან ცუდია, ხომ გინახამთ გაწუწკებული ძაღლი? თუ გაექეცი, მაშინვე გამოგიდგება, შეიძლება კიდეც დაგგლიჯოს. სნეულებაც ამისთანა წუწკ ძაღლსა ჰგავს: თუ შეუშინდი, იმავე წამს კისერზე წამოგახტება, წაგაქცევს და ზედ შეგდგება, და თუ ყოჩაღად დაუხვდი, თითონ ის შეშინდება, ამოიძუებს კუდსა და ქურდ-ბაცაცა მელასავით გაიპარება. ხა, ხა, ხა!. ისმის სანუგეშო სიცალი ავადმყოფის გარეშემო. ამის შემდეგ, თუ სახლში შესაფერი წამალი ეგულება, თან მიჰყავს ვინმე იმ წამლის გამოსაგზავნად, თუ არა და, სწერს რეცეპტს, აძლევს საკმარის ფულს და გამოდის გარეთ.

მოდის მოხუცი ექიმი უფრო დაღონებული, წელში მოხრილი, თითქო მძიმე, მძიმე ბარგი ჰკიდია და ძლივ-ძლივობისას მოათრევსო... ხოლო იქ, ავადმყოფის სახლში, ყველანი მხიარულად არიან. სასწაულთ-მომქმედი მკურნალი—სასოება და იმედი —სწვევია იქ მყოფთა. ავადმყოფის გულიდან განუდევნიათ შავ-ბნელი სასოწარკვეთილება. იგი ლოგინში წამომჯდარა და დამშვიდებულის ფიქრებით უცქერის ხვალინდელ დღესა.

—

როგორც ჭეშმარიტად განათლებული და ღვთისნიერი ადამიანი, იგი ყოველ გაჭირვებულს, რა შთამომავლობისაც უნდა ყოფილიყო, ერთნაირის გრძნობით: სიყვარულით და სიბრალულით ეკცეოდა. კათოლიკური სარწმუნოება, რასაკვირველია, არა თუ არაფერს უშლიდა მის ეროვნულ, ქართულ გულის ძგერას, არამედ თითქო კიდეც შველოდა, მის ძალას და მადლს აორკეცებდა. ყოველი ქართული დაწყობილება სიხარულით ავსებდა განსვენებულის გულსა და თუმცა მოხუცებული იყო, მაინც აღფრთოვანებულის იმედით შესცქეროდა მომავალს.

ადგილ-მამული და სხვა რამ უძრავი ქონება თითქმის არა დარჩენია რა, მხოლოდ ამ ერთის წლის წინად გორის უმთავრეს ქუჩაზე ორ-სართულიანი მშვენიერი ქვითკირის სახლი დადგა. ეს სახლი განსვენებულმა სამშობლო ქალაქს უანდერძა: მისი შემოსავლით სხვა-და-სხვა სკოლებში ობოლი და ღარიბი ბავშვები უნდა აღიზარდნენ. ცხადია, რომ შესაფერი, ზედგამოჭრილი ძეგლი დაუდგა თავის პატიოსან სახელს იოსებ გიორგის ძემ ააკოვმა და ვიდრე ეს ძეგლი იქნება, არ მოაკლდება არას დროს ამ სახელს ლოცვა-კურთხევით ხსენება. („ივერია“)



## ჟურნალ-გაზეთებიდან.

ახალი ხერხი ფოსტის წერილების სწრაფად გზავნისა. როგორც წინადაც მომხდარა ხშირად, ორმა ტეხნიკოსმა, მერე ისიც სულ სხვა-და-სხვა სახელმწიფოში მცხოვრებელმა, ერთსა და იმავე დროს მოიგონეს ახალი ხერხი წერილების სწრაფად გზავნისა. ეს ხერხი იმაში მდგომარეობს, რომ მავთულიან რკინის-გზის პატარ პატარა ვაგონებით მისრიალებს პაწია ყუთები შიგ ჩაწყობილ წერილებით. მავთულიანს რკინის-გზას ელექტრონის ძალა ამოძრავებს. საფრანგეთის ინჟინერმა, რომელიც მარსელიდან არის, უკვე აიღო პრივილეგია თვის მიერ მოგონილის ელექტრონის ფოსტისა. ამ ფოსტის წყალობით თითოეულს პაწია ვაგონს შეუძლია გადაიტანოს სრული 200 კილოგრამის სიმძიმის წერილები ($12^1/_2$ ფუთი) 150 კილომეტრის მანძილზედ საათში (კილომეტრი თითქმის ერთ ვერსს უდრის). მერე არც შიში რაიმე შეცდომისა და არც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაგონების შეჯახებისა, რაიცა ასე ხშირია რკინისგზებზედ, როცა რკინის ლიანდაგი ორად და სამად იყოფა.

უფრო დაწვრილებით აღგვიწერს იტალიური გაზეთი „La Tribuna“ თავის თანამემამულის ინჟენერ პიშინელი-ტაეჯის მოგონებას. ეს ინჟენერი უკვე გაემგზავრა ინგლისს თვისის მოგონების მოდელებით და იქ უნდა სცადოს, რაოდენად გამოდგება მისი მოგონება წერილების სწრაფად გზავნისა ლონდონ-ლივერპულს შუა. იტალიელი ინჟენერი ამბობს თურმე, რომ საათში ჩემი ვაგონეტკა, ალუმინისაგან გაკეთებული, გაივლის 400 კილომეტრსაო. კაცი თვალს ვერ მოასწრებს ვაგონეტკა ისეთის სისწრაფით ისრიალებს და ვერც გაარჩევს ერთს მეორესა და მესამისაგან, რომელიც ზედი-ზედ მიჰყვებიან ერთმანეთსო. რომიდან ნეაპოლს გაგზავნილი წერილი მივა იქ ერთ საათში, ხოლო მილანს ორ საათშიო. თუ ვაგონეტკები აქეთ-იქით არის წასასვლელი და გზა არის ასაქცევი, ესე ყოველივე ავტომატიურად იქნება მოწყობილი და ვაგონეტკები ერთმანეთს არაოდეს არ დაეჯახებაო.

ამას გარდა, მოგონილია ხერხიცა, რომ უფრო სწრაფად მივიდეს ან მიტანილ იქმნას წერილი ელექტრონის ფოსტის უმთავრეს სადგურში. ის ყუთი, რომელშიაც ჩაუშვებენ ხოლმე წერილებს, სვეტსა ჰგავს, შიგნით ცარიელსა; ეს სვეტი უმთავრეს სადგურთან დაკავშირებულია. მიუახლოვებთ თუ არა წერილს ამ სვეტსა, მაშინვე, თითქო პირი მოავლო და ჩახვიაო, ისე სჩანთქავს აპარატი თქვენს წერილს და გაგზავნის ვაგონეტკით უმთავრეს სადგურში. თან ავტომატიურად აღნიშნავს, რომ ფული მიღებულია, წერილის გასაგზავნიო, ესე იგი წაჰმურავს მარკებს. სადგურში მიღებულს წერილებს მაშინვე რიგზედ აწყობენ და მაშინვე ჰგზავნიან ვაგონეტკებით, რომელიც უკვე ახლავე აქვთ დარიგებული ფოსტალიონებს.

ნამდვილი ელექტრონის ფოსტაა! პიშინელი-ტაეჯი ძლიერ მიუახლოვდა სისწრაფის იდეალს. მერე ეს სისწრაფე სრულიად დამოუკიდებელი იქნება დღევანდელ რკინის გზაზედ. მაგრამ იტალიური გაზეთები-კი ძალიან აჭარბებენ, როცა ამ მოგონებას ადარებენ და უმხარდამხარებენ მარკონის მოგონებას, უმავთულოდ დეპეშების გადაცემას.

*
* *

«პეტერბურგ. ვედომოსტ»-ში საყურადღებო სტატისტიკური ცნობებია დაბეჭდილი უნივერსიტეტების შესახებ. როგორც ამ ცნობებიდგან სჩანს, რუსეთის უნივერსიტეტებში 1892 წელს სულ 11,589 კაცი სწავლობდა. 1901 წელს ეს რიცხვი 16,631 კაცამდე ავიდა. ფაკულტეტებად ეს სტუდენტობა ასე იყო განაწილებული 1901 წელს:

| | | |
|---|---|---|
| ისტ.-ფილ. ფაკულტეტ. . | 917 | კაცი. |
| მათემატიკა. . . . | 1645 | „ |
| საბუნების-მეტყველო . . | 2165 | „ |
| იურიდიულზე . . . | 6727 | „ |
| სამკურნალოზე . . . | 4387 | „ |
| აღმოსავლეთისაზე . . | 253 | „ |
| სადვთის-მეტყვ. (იურიევში) . | 140 | „ |

ათის წლის განმავლობაში (1892—1902 წ.) რუსეთის უნივერსიტეტი გაათავეს:

| | | |
|---|---|---|
| ისტ.—ფილ. ფაკ. . . | 1079 | კაცმა |
| მათემატ. . . . . | 1542 | „ |
| იურიდიული . . . | 2107 | „ |
| სამკურნალო . . . | 8154 | „ |
| აღმოსავლეთისა . . . | 180 | „ |
| სადვთის-მეტყველო . . | 269 | „ |

სულ ამ რიგად უკანასკნელ ათის წლის განმავლობაში 22,271 კაცს გაუთავებია უნივერსიტეტი.

*
* *

მთლად რუსეთის საზოგადოების ყურადღება სამეურნეო კომიტეტებზეა მიქცეული. რუსეთის დაცემული მეურნეობა უნდა აღყვავდეს, ეკონომიურად მიწასთან გასწორებული სოფელი უნდა ამაღლდეს და წელში გაიმართოს. ეს არის საერთო საქმე მთელის რუსეთისა, თუ უნდა მას კულტურულად და სოციალურად უკან არ ჩამორჩეს ევროპის სახელმწიფოებს. ამისთვის არის, რომ სამეურნეო კომიტეტების დაარსება ყველას აინტერესებს. აინტერესებს მთავრობას,—სოფლის ეკონომიურად ამაღლებით სახელმწიფოს ბიუჯეტი გაცილებით მოიმატებს; აინტერესებს თავად-აზნაურობას,—სოფლის აღყვავებით ისიც უწილო არ დარჩება, როგორც მთელი სოფლების მამულების მესაკუთრე და მიწადმფლობელი, დასასრულ აინტერესებს ერის დიდ უმრავლესობას—რუსეთის გლეხობას, რომელიც „მიწას“ ელის. ამ საქმეში დაინტერესებულია „სამება“, მაგრამ არა „ერთ არსება“... სამეურნეო კომიტეტის კრებაზე ამ სამების წარმომადგენელი—მთავრობისა, თავად-აზნაურობისა, გლეხობისა—უნდა დაესწროს. ეს არ შეუშლის ხელს საქმის ვითარებას, პირიქით, ხელს შეუწყობს საქმის ყველას სასარგებლოდ დაგვირგვინებას.

# ახალი ამბები და შენიშვნები.

⁂ ამ მოკლე ხანში, როგორც „ცნობის ფურც.“ გვაცნობებს, ქუთაისში გაიხსნება მეორე საქალაქო სასწავლებელი, რომლის ხარჯი სრულიად სამინისტრომ იკისრა. თხოვნების მიღება უკვე დაიწყეს. ჯერ-ჯერობით 35 თხოვნა შეუტანიათ. მასწავლებლად დაუნიშნავსთ გორის სემენარიაში სწავლა დამთავრებული ბ-ნი ქუთათელაძე. მომავალს კვირაში მოსწავლეების მისაღები ეგზამენებიც დაიწყება.

⁂ საქმე როდშილდის ქარხნის მუშებისა, რომელთაც უწესოების ჩადენა ჰბრალდებათ (ამა წლის 9 მარტს), განსახილველად დანიშნულია 25 ოქტომბრისათვის. ამ საქმეს გაარჩევს ქუთაისის ოლქის სასამართლოს სესსია ბათუმში.

⁂ მათი მეუფება მიტროპოლიტი ანტონი გურზუფიდან (ყირიმშია) წაბრძანდა პეტერბურღს. გურზუფიდან მათი მეუფება მიბძანდა სევასტოპოლში და აქედამ თორმეტ საათზე წაბრძანდა პეტერბურღისაკენ.

⁂ მათი უდიდებულესობანი ხელმწიფე იმპერატორი და იმპერატრიცა 22 სექტემბერს მიბრძანდნენ ძველ ხერსონესის მონასტერში დასათვალიერებლად. აქ მათ უდიდებულესობათ მიეგება სიმფეროპოლის და ტავრიდის მღვდელთმთავარი ნიკოლოზი (რექტორად ნამყოფი თბილისის სემენარიაში) და მოკლე მიგებითი სიტყვა მოახსენა, ბოლოს ხატები მიართვა.

⁂ უკანასკნელ მიწის ძვრისაგან ონის ორ კლასიანი ნორმალური სასწავლებელი მეტად დაზიანებულა. ეხლა ახალი სახლის აშენებას მეცადინეობენ...

⁂ ყვირილაში სამოქალაქო სასწავლებლის სახლის შენება ჩქარა მიდის; ხშირ წვიმებს რომ არ დაებრკოლებია ოსტატები, უფრო მეტი იქნებოდა გაკეთებული.

⁂ დარწმუნებული ვარ, რომ ისეთი სიძვირე ყურძნისა არსად არ იქნება, როგორიც არის ყვირილაში. ფუთი ყურძენი იყიდება 150 კ. და 160 კ. და კარგა ბლომადაც შემოდის...

⁂ ბ.ბ. პ. ყიფიანს და ს. ტიმოფეევს შეუდგენიათ წიგნი რომელშიაც ვკითხულობთ, რომ „რუსეთში უპირველესი ადგილი მევენახეობისა არის კავკასია. ხოლო 90%-ზე მომეტებული ადგილი მოდის ამიერ კავკასიაზედ. ახალის ცნობებით, ამიერ კავკასიის ვენახები ეკუთვნის 200,000 მევენახეს და ამ ვენახების სივრცე 80,000 დესიატინაზე მომეტებულია. ყოველ-წლიური საშუალო გამოსავალია 10,000,000 ვედრამდე და სხვა ცნობით 7,000,000 ვედრომდე; საშუალო რიცხვით დესიატინაზე მოდის 87 ვედრო. კახეთის ვენახებს უჭირავთ 12,000 დესიატინის სივრცე ადგილი. საშუალო რიცხვით ეს ვენახები იძლევიან 1,5 მილიონ ვედრო ღვინოს და თითო ვედრო იყიდება საშუალო რიცხვით 2 მანეთად, ანუ 150 კაპ. 350 კაპეიკამდე.“

⁂ ამ ოქტომბრის ოთხს რიცხვს ბათუმიდან მობრძანდა ყვირილაში საგანგებო მატარებლით მიწათ-მოქმედების მინისტრი ა. ს. ერმოლოვი, რომელსაც ახლდა ქუთაისის გუბერნატორი, ქუთაისის მაზრის უფროსი თ. დადეშკელიანი და ქუთაისის სახელმწიფო ქონებათა მმართველი. ცხრა საათი იქნებოდა, რომ ყვირილის რკინის გზის სადგურიდან მიბრძანდა საქარის სანერგეში. მინისტრმა დაათვალიერა სანერგე და ყველა მისი მოწყობილობა. ბოლოს მოისურვა გლეხების ნამუშევარი ვენახების ნახვა. ამისთანა მამულები ბევრია იქვე სანერგის გვერდზე გლეხებისაგან გაშენებული. მინისტრმა ნახა და მოიწონა, მადლობა უთხრა გლეხებს და აღუთქვა დახმარება. დაბრუნებისას სანერგეში საუზმეზე მიიპატიჟა სანერგეს გამგემ სტაროსელსკიმ. მოითხოვეს თვითონ სანერგეში მომზადებული ღვინო. მოართვეს. ძლიერ მოიწონეს ეს ღვინო.

ყველანი დიდი ნასიამოვნები წაბრძანდნენ სადგურზე. აქედენ მინისტრი წაბრძანდა თბილისისაკენ.

⁂ ექვს ოკდომბერს სანერგე დაათვალიერეს ქუთაისის დედათა გიმნაზიის მე-6 კლასის მოწაფეთა.

⁂ ბოდბის მონასტრის წინამძღვარი იგუმენია იუვენალია, თანახმად თავისი თხოვნისა გარდაყვანილ იქმნა მოსკოვის შობის ქალების მონასტრის წინამძღვრად. მის ადგილზე დაინიშნა ბოდბის მონასტრის მონაზონი თამარა (მარჯანოვი), რომელიც იგუმენიის ხარისხის მიღების დროს სახელად დაირქვა იუვენალია.

*** შორაპნის მაზრის უფროსად დაინიშნა ოზურგეთის მაზრის უფროსი ბ. ლაზარენკო.

*** გაზ. „Times"-ს ატყობინებენ სტამბოლიდან, რუსეთმა, ავსტრია-უნგრეთმა და ინგლისმა ყურადღება მიაქციეს ოსმალეთის საჩივარსა და აღუთქვეს, ბოლგარელ ბრბოთა მოძრაობას შევაჩერებთო. თვით ბოლგმრიამაც განაცხადა ყოველ რონეს ვიღონებ და მაკედონიაში მეამბოხეებს აღარ გადავუშვებო. მიუხედავად ამისა, ოსმალთა ჯარები მაინც უახლოვდებიან ბოლგარიის საზღვრებს.

—მარშალის ეხმედ-ფაშის მეთაურობით, სამხედრო კომისია სტამბოლიდან სერესში გადავიდა და იქ გამართა უმთავრესი ბანაკი. სმირნაში მდგარმა ოცდა ათმა ბატალიონმა ბრძანება მიიღო, მზად იყავით სალაშქროდაო. ეს ჯარები დებირ-ხოსარით გაიგზავნებიან სერეს, ბოლგარიის საზღვარზედ, ჯუმაიასა და გელნიკსაო.

*** ვილნოს ქალაქის გამგეობამ მიჰმართა ტფილისის გამგეობას და სთხოვა შეგვატყობინეთ ამ ცოტას ხანშიო, მოიპოვება ტფილისში იმისთანა ადგილები კერძო კაცთა, რომელზედაც იმართებოდეს ბაზრობა, ან ეძლევათ ამ მამულების პატრონთ უფლება გარდაახდევინონ ამ ადგილებზედ მოვაჭრეთ გარდასახადი რამეო; აგრეთვე სოფლიდან სანოვაგეს მომტანთ რას ახდევინებენ ამ ადგილის პატრონები, ან რამდენს, ან სუფევს რაიმე იურიდიული დამოკიდებულება ამ ადგილების პატრონთა და ქალაქის გამგეობას შორისაო?

*** ამ ჟამად ქალაქის სტიპენდიები თავისუფალია დედათა პირველ გიმნაზიაში ორი და მეორეში —ერთი. ვისაც სურს ეს სტიპენდიები მიიღოს, თხოვნა უნდა მიართვას ქალაქის გამგეობას 22 ოქტომბრამდე. 24 ოქტომბერს მოხდება კენჭის ყრა სტიპენდიების მთხოვნელთა შორის. („ივერია")

*** ს. ხაშიდგან «ივერიას» ატყობინებენ, რომ იქ ამ თვის ორს მიწის ძვრა ყოფილა დილის თერთმეტის ნახევარზედ, ეს მოვლენა მომეტებულმა ნაწილმა მცხოვრებლებისამ კარგად შეამჩნია, იმდენად ძლიერი იყო რყევა მიწისა.

*** ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის დეპუტაცია, გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლის თავ. ნ. ლორთქიფანიძის თავმჯდომარეობით, ამ თვის დამლევს აპირებს პეტერბურგს გამგზავრებას, რათა იშუამდგომლოს სამინისტროს წინაშე ბანკის წესდების ზოგიერთ მუხლების შეცვლის შესახებ.

*** მთავრობამ გადასწყვიტა გაამრავლოს სასამართლოებში პროკურორების რიცხვი. შიდა რუსეთში 79 ახალი პროკურორი და პროკურორის ამხანაგი იქმნება დანიშნული, ხოლო ამიერ კავკასიაში—7 პროკურორის ამხანაგი.

*** ჟურნალ „Истор. Вѣстн."-ის ოკტომბრის ნომერში დაბეჭდილია განგრძობა ბ-ნ ი. პ. იუვაჩევის წერილისა „მლოკავთა სიარული პალესტინაში». ბ-ნი იუვაჩევი შესახებ ჯვარის მონასტერისა, რომელიც ორის ვერსის სიშორეზედ არის იერუსალიმიდან შემდეგს მოგვითხრობს:

„ჯვარის მონასტერი არის ერთი უძველეს მონასტერთაგანი პალესტინაში და აშენებულია ქართველებისაგან. მალე დაიწყეს ქართველებმა ქრისტიანობის მიღების შემდეგ წმ. ქვეყანაში მსვლელობა და ააშენეს აქ თავისი მონასტრები. მარტო იერუსალიმში ოდესმე თორმეტი მონასტერი ითვლებოდა, ქართველთაგან აშენებული. მაგრამ საქართველოს სამეფოს გაჭირვებულ დროს, როდესაც ქართველები მეტად შეავიწროვეს სპარსელებმა, ყველა ეს მონასტრები სამწუხარო მდგომარეობაში ჩაცვივდნენ: ზოგიერთნი დაინგრნენ, ზოგიერთნი გადავიდნენ ბერძნებისა, სომხებისა და ლათინთა ხელში. ჯვარის მონასტერი დაისაკუთრეს ბერძნებმა და დაარსეს მასთან 1853 წელს სასულიერო სემინარია, რომ ეს მონასტრები ქართველთა აშენებულია და ქართველთა საკუთრება ყოფილა, ამას ბევრი რამ მოწმობს დღესაც. მონასტრების კედლებზედ არის საქართველოს მეფეების და წმინდა დანების სურათები, მაგალითად, მარიამისა, ვახტანგ გორგასლანისა, ბაგრატ IV კუროპალატისა, და სხ". *)

---

*) დიად, ქართველებს ბევრი რამ ქონდათ, მაგრამ დაჭკვრგეს და ხელიდან ეცლებათ. იერუსალიმის პატრიარქიდან დრამატა არის მიტეშული ქართველებზე, რომ თუ ოდესმე ქართველები დაბრუნდნენ ამ მონასტერში, ულაპარაკოდ უნდა დაებრუნოსთ უკანვე და მისი შესაკეთებელი ფულებიც არ უნდა მოეთხოვოს, ისე გაწეობილი უნდა ჩაბარდეს. მაგრამ იერუსალიმის მონასტრების დაბრუნებაზე ვინ რას იტყვის, თავიანთი მონასტრებიც რომ ხელიდან ერთმეყოთ.

რედაქტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სახელმძღვანელო, საყურადღებო, საჭირო და სასარგებლო ცნობათა განყოფილება.

### საეჭვო კითხვების განმარტება.

კით. შეუძლია თუ არა შტატ-გარეთ მღვდელს, რომელიც პენსიას იღებს ძველის წესით ხელ-ახლად შევიდეს სამსახურში და შემდეგ ორი-სამი წლისა—სამსახურის თავის დანებებისა მიღოს გადიდებული პენსია ახალის პენსიის წესდებულებით?

მაგ. ახალი პენსიის წესდებულების მეორე მუხლში ნათქვამია: „არავის არც მღვდელს და არც მედავითნეს, რომელნიც სამსახურში ითვლებიან არა თუ სასულიერო, არამედ სხვა საერო წოდებაშიაც, პენსიის მიღება არ შეუძლია გარდა იმ პირთა, რომელნიც დაშორებულ ქვეყნებში მსახურებენ და რომელთა სამსახურია სულ სხვა წესდებულებით». ამის გამო მღვდელს, რომელიც პენსიას იღებდა ძველის წესით, უნდა მოესპოს იგი და თუ სამსახურში შევიდა ხელ-ახლა და შემდეგ ორი-სამი წლისა თავი დაანება სამსახურს, ჩვენის აზრით, უნდა შეეძლოს პენსიის მიღება ახალი პენსიის წესდებულებით.

კით. მედავითნის სამსახური დაეთვლება თუ არა მღვდელს?

მაგ. მედავითნის სამსახური დაეთვლება მღვდელს, თუ იგი ხუთი წელიწადი მაინც მსახურებდა მღვდელობაში. ვისაც, მაგალითად, ოც-და-ათი წელიწადი უმსახურია მედავითნედ და ხუთი წელიწადი მღვდლად, შეუძლია სრული პენსია მიიღოს. ესევე უფლება ეძლევა მათ ქვრივებსაც.

კით. შეუძლია თუ არა ნაკლები სამსახურისათვის სრული პენსია მიიღოს სამღვდელო და საეკ-კლესიო მოსამსახურემ, რომელიც იძულებული იყო ავადმყოფობის მიზეზით სამსახურისათვის თავი დაენებებია?

მაგ. ოცი წლის შემდეგ ვინც სამსახურს თავს ანებებს მძიმე ავადმყოფობის მიზეზით, მას შეუძლია სრული პენსია მიიღოს, მაგრამ დამტკიცებული უნდა იყოს ეს ავადმყოფობა.

კით. მეორე მედავითნეები მიიღებენ თუ არა პენსიას ახალის წესდებულებით?

მაგ. მეორე მედავითნენიც მიიღებენ პენსიას, თუ შტატში მსახურებენ. სამწუხაროდ, იმერეთის ეპარქიაში მრავალს ადგილს მეორე მედავითნენი შტატ-გარეშეთ იყვნენ დანიშნულნი. მხოლოდ ამ ბოლო დროს მღვდელთ-მთავრის განკარგულებით განთავისუფლდა მათგან სამღვდელოება.

---

## სამკურნალო და ჰიგიენური
### განყოფილება.

### ეჭიმის საუბარი
#### გულისხმიერ მკითხველთან.

(საუბარი პირველი).

#### გაგრძელება*)

მესუთე მაგალითი. დედ-მამას ჰყავს ქალიშვილი. ორივე შენატრის მის აღზრდას და „დაქალებას“, როგორც სოფლად იტყვიან ხოლმე. თუ ბედმა არგუნა ამასთან ერთად სილამაზეც—როგორც-კი გახდება ცამეტი წლის, მაშინვე შეიქნება ერთი მაშუალობა, მაჭანკლობა, და დედ-მამაც ცდილობს, რაც შეიძლება მალე მოესწროს შვილის გათხოვებას და შვილი-შვილებს. თხოვდება ქალი, ჯერ თოთხმეტი წლისაც არ არის, სხეული მხოლოდ ნახევრად არის განვითარებული, რომ შვილიც ეძლევა. თუ გადაურჩა ასეთ ნაადრევ ლოგინობას, მეორე შვილიც და მესამეც ზედ უსწრებს—და ამ ახალგაზრდა არსებას, რომლის ხსეული ჯერ კიდევ ზრდაში და დასვენებაში უნდა ყოფილიყო, მომქანცავი და სხეულის დამასუსტებელი, ზედ-ზედ რამოდენიმე ორსულობა ხვდება, ზედ ერთვის ოჯახის ფუსფუსი, ბავშვების მოვლა, და როგორც უდ-

*) იხ. „მწყემსი“ № 18. 1902 წ.

როოდ დასუსხულს ნაყოფს, უდროოდ ძალა ეცლება. ეს სიცოცხლით სავსე არსება, რომელსაც, ვინ იცის, რამდენხანს შეეძლო გაძლება, ოცდა-ათ წელიწადს მიტანებული უკვე 50 წლის მოხუცს ემსგავსება... მერე ვისი ბრალია ეს? რასაკვირველია მისი მშობლების, ვინც ასე წინდაუხედავად აუჩქარდა მის გათხოვებას და ამით ხელი შეუწყო მისს დაუძლურებას. მაგრამ მათ ხომ ეს განზრახ არ მოსვლიათ, მხოლოდ უვიცობითა და შეუგნებლობით. ვინც დაახლოებულია სოფლის ცხოვრებასთან ამაზედ ყველა დაგვეთანხმება, რომ სოფლად ამგვარი მაგალითები მრავლისგან-უმრავლესია. და არც მოისპობა ეს, თუ არ შეიგნო ხალხმა, როდის რა არის საჭირო სხეულისათვის და როდის რა არის მავნებელი. მხოლოდ ამნაირი ცოდნა დაიხსნის კაცს ამგვარ სამწუხარო შეცდომებისაგან, აუხელს თვალს მშობლებსაც და ქმრებსაც და შეამცირებს ცოტად მაინც ამ უდროოდ დატანჯულ მსხვერპლთა სიმრავლეს.

მეექვსე მაგალითი. ყველამ ვიცით, რომ სუნთქვა ადამიანისათვის აუცილებლად საჭიროა. უამისოდ სიცოცხლე ერთ წამსაც-კი შეუძლებელია. ვგრძნობთ აგრეთვე რომ გული გვაქვს, რომელიც მუდამ სცემს. რომ შეჩერდეს იგი, თუნდა ცოტას ხნით, სიცოცხლეც შეუძლებელი ხდება. ეს ყველამ იცის. მაგრამ ბევრმა არ იცის, თუ რის მომასწავებელია ეს მუდმივი სულის-თქმა და შეუჩერებელი გულის-ცემა, რატომ მუშაობს დაუცხრომელი ხანგრძლივობით ფილტვები და რატომ მუშაობს მანქანასავით ჩვენი გული. ამის ცოდნა-კი საჭირო არის, რადგანაც მცირეოდენი მიზეზიც რომ აღმოჩნდეს ან პირველის ან მეორეს დამაბრკოლებელი, მაშინათვე ვიგრძნობთ ამას და დიდათაც შევწუხდებით. საჭიროა ამის ცოდნა, რომ გაბრთხილებული ვიყოთ და ცუდი არაფერი შევიმთხვიოთ, და შეგნებულიც გვქონდეს, რა არის სულის-თქმა და რა არის გულის-ცემა? რა მნიშვნელობა აქვს ამ ორ ძალას ჩვენი აგებულების კეთილდღეობისათვის, რა დანიშნულებით მოქმედებს ეს ორი ძალა, რა უწყობს ხელს, ან რა აბრკოლებს მისს წესიერს მუშაობას?

მეშვიდე მაგალითი. თხოვდება ქალიშვილი. არავითარი ცოდნა არა აქვს მას ჩანერგილი იმ მრავალი მოვალეობის შესახებ, რაიც მას ედება ამ „გათხოვებით“. თუ შეძლებული ქმარი შეხვდა, კარგად მოირთო და „მოიკაზმა“—ეს მას სრულ ბედნიერებად მიაჩნია და მომავალსაც უზრუნველად შეჰყურებს. მოუწევს ორ-სულობის ხანა, თითო-ოროლა ცნობებს აქა-იქ მოჰკრავს ყურს და ეს არის და ეს. ამასობაში მიეცემა ბავშიც ყოვლად გამოუცდელს და სრულებით მოუმზადებელს ისეთი პასუხ-საგები მოვალეობა ეკისრება, როგორიც არის ნორჩი აგებულების აღზრდა. ამ ახლად დედად გამხდარს ვითომ ძალიანაც ჰსურს რიგიანად მოუაროს თავის შვილს, მაგრამ ვინ მისცემს საჭირო ცოდნას?! რასაკვირველია, მის გარშემო მყოფ ნაცნობ-ნათესავთაგან, რომელნიც თითქმის მასავით უვიცნი არიან ამ საქმეში, თითო-ოროლა ცნობას იგებს ის, და ითვისებს მთსავე ნაკლოვან შეხედულებას თვისის შეცდომებითა და უცნაურობით. ამგვარ პირობებში ჩავარდნილ ნორჩ ბავშს ვინ იცის, რამდენი განსაცდელი მოელის? ვინ იცის რამდენი ნაკლულევანება ედება საფუძვლად მის მომავალს, და მერე ისეთი ნაკლულევანება, რომელმაც ეგებ შემდეგში სიცოცხლეც-კი გაუმწაროს და შეაძულოს?! განა ცოტას ვხედავთ ნორჩობიდგანვე დასუსტებულს, დაბეზავებულს და აჩრდილად ქცეულს?! სხვას თავი დავანებოთ და მარტო უზომოდ ძეძუს წოვებისაგან რამდენ ბავშს ეშლება სტომაქი, ექანცება ნაწლევები და მოსდის ისეთი სისუსტე, რომ წლის შესრულებამდეც-კი ირ დასცალდებათ ხოლმე სიცოცხლე?! დედებიც დასტირიან ხოლმე ასეთ მსხვერპლს და გამოუთქმელად იტანჯებიან, და ის კი არ იციან, რომ თვითონვე არიან დამნაშავე და უმთავრესი მიზეზი. რა წარმოადგენიებსთ, რომ თვითონ მათივე, ვითომ-და სინაზის გრძნობა, იყო უმთავრესი მიზეზი მათი შვილის დასნეულების და ხშირად სიკვდილისაც. ჩვენში გამოუცდელ ადამიანს კრუხსა და წიწილებსაც არ მიანდობენ, იტყვიან ქათმის დაჯენის რა იცის იმანო? და აბა თუ ვინმე იტყვის უარს ბავშის აღზრდა არ ვიციო?—სრულებით არავის არ ამოუვა ეს სიტყვები პირიდგან. თითქოს კრუხ-წიწილის მოვლა უფრო ძნელი იყოს ბავშის მოვლაზე!..

ჩვენ დავასახელეთ აქ მხოლოდ ზოგიერთი, თორემ ამგვარი მაგალითები ბევრია: ყველა მეტის-მეტად საჭიროა ადამიანისათვის, მაგრამ იმავე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროს მეტის მეტად დავიწყებული და უყურადღებოდ მიტოვებულია უმრავლესობისაგან.

ვინ მოსთვლის რამდენი საბრხე უჩნდება ადამიანს თავისავე უცოდინარობით და გამოუცდელობით? რამდენი მავნე ჩვეულებაა ერთხელვე ფესვგადგმული და უმეცრებისაგან დაკანონებული, რაც დიდად აბრკოლებს ადამიანის სიცოცხლეს! რამდენი ვნება ეძლევა ადამიანს მისივე გაუბრთხილებლობით—ეს რომ ჩამოვაშოროთ თანამედროვე ცხოვრებას, მაშინ დიდი ტვირთი აშორდებოდა უმრავლესობას. ადამიანი რომ ყოველივეში ზომას მისდევდეს და გონივრულად ეკიდებოდეს თავის ძალებს ვარჯიშობასაც და ხარჯვასაც—მაშინ იგი უფრო ძლიერი იქნებოდა და თანამედროვე მავნე გარემოებაც ისე ადვილად ველარ დაამორჩილებდა მას. ხშირად ვხარჯავთ მუქთად და ბედოვლათურად ჩვენს ხელშივე მყოფს ღონისძიებას და ძირს ვუთხრით ჩვენს პირად ძლიერებას და ვისპობთ იმ ბედნიერ კუთვნილებას, რომელიც ბუნებას ჩვენთვის უჩუქებია. მეცნიერება წინ მიდის, ყოველ დღეს ახალ-ახალ ღონისძიებას იკვლევს ადამიანის ცხოვრების საკეთილდღეოდ. იგი გვასწავლის ცხოვრების ახალ-ახალ კანონებს, რაც დღემდე საიდუმლოებით იყო მოცული, და ამნაირად დღითი-დღე გვიუმჯობესებს იარაღს ჩვენი სიცოცხლის დასაცველად. და რატომ არ უნდა ვისარგებლოთ ამითი? რად უნდა წავიყრუოთ ყური და არ ვიხელმძღვანელოთ მით, რაც ჩვენ საკეთილდღეოდ არის აღმოჩენილი!

საექიმო მეცნიერების ერთი ნაწილია, რომელიც ეხება ადამიანის ჯანმრთელობის დაცვას, და იკვლევს სხვა-და-სხვა ზეგავლენას იმ პირობებისას, რომელშიდაც ვითარდება ადამიანი და სცდილობს ადამიანის საკეთილდღეოდ წარმართოს იგინი. ამ დარგს ეძახიან ჰიგიენას, ერთი ბერძნულის სიტყვის მიხედვით „ჰიგიენეინ"—რაიც ნიშნავს ჯანმრთელად ყოფნას.

ზემოხსენებულ კითხვებზე ბევრს იმგვარ საგნებზე, რომელთაც კავშირი აქვსთ ადამიანის ჯანმრთელობასთან, მისი სხეულის კეთილ-დღეობასთან და ავადმყოფობის წინააღმდეგ საბრძოლველ საშუალებებთან, ჩვენ გვსურს ვესაუბროთ მკითხველს. ამისათვის განვიზრახეთ ჟურნალ „მწყემსთან", რომელსაც თავის გეგმაში სამკურნალო და საჰიგიენო განყოფილებაც აქვს, მოვთავსოთ ხოლმე ჯანმრთელობის დაცვისა და მოვლის შესახებ წერილები. ამ განყოფილებაში ვისაუბრებთ ყველა იმ კითხვების შესახებ, რაც-კი შეეხება ადამიანის აგებულებას, ჯანმრთელობის დაცვასა და მოვლას, ავადმყოფობასთან შებრძოლებას და ყოველგვარ საამისო დარიგებას.

ამავე განყოფილებასთან გვსურს შემოვიღოთ საეჭვო კითხვების განმარტებაც კითხვა-მიგებით. ყველას, ვისაც ჰსურს, შეუძლია ამ განყოფილებით ისარგებლოს. ვსთქვათ, ვინმეს რაიმე კითხვა აქვს ჯანმრთელობისა ან ავადმყოფობის შესახებ გამოსარკვევი, მას შეუძლია წერილით მოგვმართოს და მოგვწეროს დაწვრილებით რისი განმარტებაცა ჰსურს. თუ საყურადღებო იქნება, ამ კითხვას დავბეჭდავთ ჟურნალში და იქვე განმარტებასაც მივაყოლებთ. (ამგვარი წერილები პირდაპირ „მწყემსი"-ს რედაქციაში უნდა გამოიგზავნოს). დარწმუნებული ვართ ასეთი კითხვების მოწერას არავინ დაიზარებს და არც ჩვენ დაგვირჩება საძნელოდ მათზედ პასუხის გაცემა. ამგვარად წლიდგან-წლამდე ბევრი ისეთი კითხვა გამოირკვევა, რაც სოფლისათვის, სოფლელებისათვის და ადგილობრივი პირობებისათვის საჭიროა გამოირკვეს და სხვების გასაცნობადაც გავრცელდეს საყოველთაოდ.

ამგვარის საშუალებით ვეცდებით შევუდგეთ ზოგიერთი საჭირო ცნობების სახალხოდ გავრცელებას. დაკვირვებულ მკითხველს ყოველთვის ჩარჩება იგი მეხსიერებაში და საკუთარს გამოცდილებაშიდაც გამოადგება. ამგვარად გავრცელებული თითო-ოროლა ცნობა, აქა-იქ მარცვალივით ჩარჩება და უნაყოფოდაც არ ჩაივლის. მეტადრე სოფლადმყოფ ადამიანისათვის, სადაც ხშირად სულ უბრალო მიზეზის გამო დიდი განსაცდელი ადგება ადამიანს და დროზედ საშუალების მიმცემიც არავინ არის, რომ ადამიანს გაჭირვებაში რიგიანი დახმარება გაუწიოს. ხშირად წვრილმანი მიზეზის გამო ბევრი ავადმყოფობა გვინახავს სოფლად გაზვიადებული და გაძნელებული, ასე რომ გვიან-და ყოფილა მისი შველა, როდესაც რომ სულ უბრალო საშუალების ხმარებით, რომ ვინმეს ეს ჭკუაში მოსლოდა თავდაპირველადვე, ეგებ სენიც არ გაძლიერებულიყო. ასეა თუ ისე, ეს ზედმეტი ცოდნა არავის არ დაამძიმებს და თუ ხან-და-ხან უბრალო, ფუქსავატურ რამესაც-კი ყურს ვუგდებთ და მისთვის

ჩვენს ცნობის-მოყვარეობას ვაცდენთ, ნურც ამისთვის დავიშურებთ ცოტაოდენს ადგილს ჩვენს მეხსიერებაში, ამასაც დავუთმოთ მცირეოდენი კუნჭული.

ამნაირად შევუდგებით დღეიდგან საქმეს, ამ განყოფილებას იმედია, დაგვითმობს „მწყემსი“-ს რედაქცია და ჩვენც შეძლებისა-და-გვარად დავიწყებთ მკითხველთან საუბარს. ყოველს კითხვას, შენიშვნას და შთაბეჭდილებას მკითხველთაგან მოწოდებულს, დიდის მადლობით მივიღებთ და ვიხელმძღვანელებთ კიდეც.

ექიმი ვ. დ—ძე.

(შემდეგი იქნება)

## რედაქციის პასუხი.

მქვრივს მართა გაწერელიას ასულს. არ შეიძლება პენსიის ახალი კანონის გამოცემამდე გარდაცვალებულის მქვრივს გადადებული პენსია მისცენ. აგრეთვე მართებლობა არ იძევს, თუ რით იცხოვრებენ მღვდლის მქვრივები...

ბატონს ბთ—ძეს. სრულებით არ გვწამს, რასაც იწერებით. რასაც თქვენ იწერებით, მართალია, თითქმის პირველ ხანებში ყველას თვისებად აქვს შემოღებული, მაგრამ მცირეს დროში მტრობად იქცევა. დიდი ხნის გამოცდილებამ, სამწუხაროდ, დამარწმუნა ამაში. არ მეგონა თუ თქვენც სხვებივით აგრე მალე მოსტყუვდებოდით!..


# ქუთაისში

ს. მ. ბ. თოფურიას

## საავადმყოფო,

რომელიც იმყოფება მათი უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ დებულობს.

# დ. საჩხერეში

## მასწავლებელი სერგი ჯინჭველაშვილი ასწავლის ქართულს გალობას

ნოტების საშუალებით.


## შ ი ნ ა ა რ ს ი:


**სალიტერატურო განყოფილება:** სასწავლო წლის დასაწყისის დროს.—„მწყემსის“ კორრესპონდენციები: სოფ. რცხილათიდან. სპ. გოგსაძე.—დ. საჩხერიდან.—ძვირფასი შეწირულება. კ. საჭილოელი.—წერილი რედაქციისადმი. მღვ. რაჟდენ ხუნდაძე.—ბაზრობა რაჭაში. მ. ა. შ—ძე.—ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსის ლეონიდისაგან დღესასწაულობითი წირვა შიო-მღვიმის მონასტერში 21 წარსულ თებერვალს ყველიერის ხუთშაბათს.—იოსებ გიორგის ძე საკოვი (ნეკროლოგი).—ჟურნალ-გაზეთებიდან.—ახალი ამბები და შენიშვნები.

**საჭირო და სასარგებლო ცნობათა განყოფილება:** საეჭვო კითხვების განმარტება.

**სამკურნალო და ჰიგიენური განყოფილება:** ექიმის საუბარი გულისხმიერ მკითხველთან. ვქიმი ვ. ღ—ძე.—რედაქციის პასუხი.—განცხადება.



რედაქტორ-გამომცემელი დეკ. პ. ღამბაშიძე. Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашидзе.

*Дозволено цензурою* 18 октября *1902 г.*

Типог. редакціи журн. „Пастырь“ (П. Д. Гамбашидзе) въ Квирилахъ въ собст. домѣ.